# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №52

აბაშა, 2019 წლის 8 ოქტომბერი

აბაშის მუნიციპალიტეტში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი
პროექტების ფონდიდან" დასაფინანსებელი
პროექტების საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:**

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის № 23 დადგენილების საფუძველზე მოწონებულ იქნეს აბაშის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" დასაფინანსებელი პროექტების შესახებ (პროექტები ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად, დანართი 2 ფურცელი).
2. განკარგულება თანდართული დოკუმენტაციით წარდგენილ იქნეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში აბაშის მუნიციპალიტეტის მერის მიერ.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში, მის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი